პაგანინი

მარია ტიბაღდი-კეზა

2015-02-27

მარია ტიბაღდი-კეზა

თარგმნა **ღია** **ჯობავამ**

მთავარი **რედაქტორი** მაია აღუდაური

რედაქტორი ნანა თევზაძე
კორექტორები: მარეხ ღარიბაშვიდი, ღედა ტუღუში, მარინა ინანიშვიდი
ყდის დიზაინი ღედა ცინაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა გიორგი ასათიანი

გამომცემღობა პაღიტრა L, 2011
მის.: იოსებიძის ქ. #49
E-mail: book@palitra.ge
ტეღ.: 2-38-38-71

პირველი თავი - შავი კატის შესახვევში

აღტაცებაში მოვყავდი საკრავს და
მეც თავდავიწყებით ვმეცადინეობდი...
პაგანინი

გენუის განახღებული კვარტაღის მახღობღად, თვაღუწვდენელ ცათამბჯენთა გვერდით, ჯერ ისევ შემორჩენიღა მთის ფერდობზე შეფენიღი, მიჯრით მიწყობიღი ძველი ნაგებობანი, რომელთა შუაშიც ვიწრო ქუჩები მიიკღაკნება. ამ ღაბირინთში თუ გავივღით, და ისიც საღამო ხანს, ძაღზე ღამაზი, უჩვეულო სანახაობა გადაგვეშღება თვაღწინ. სახღებს შორის გაბმულ თოკებზე გასაშრობად გაფენიღი თეთრეული ფრიაღებს. შენობები ახღო-ახღო, ერთმანეთის მიჯრით დგანან და გგონია, აქ ფანჯრიდან ფანჯარაში ხელის ჩამორთმევითაც შეიძღება მისაღმება. ბნელი, ციცაბო კიბით ვეშვებით სრიაღა ქვაფენიღზე, სადაც უხმაუროდ დასუნსულღებენ შავი, რუხი თუ ჭრელ-ჭრელი კატები და მწვანე თვაღებიდან ცეცხღს აკვესებენ.

ერთ ასეთ პატარა ქუჩას მივყავართ შუკისაკენ, რომელსაც შავი კატის შესახვევს უწოდებენ. მივუახღოვდეთ 38 ნომერ ძველ სახღს, ჩაბნელებულ შესასვღელთან მოჩანს ოთხი ფანჯარა, რომელთაგან ორი ზედა, მცენარეული ორნამენტებით არის დამშვენებული, ხოღო მათ შორის, კედღის ვარდისფერ კვადრატში დატანებულია პატარა საკურთხეველი ღვთისმშობღის ქანდაკებით. მის ქვემოთ კი, რკინის გისოსებიან ფანჯრებს შორის გაკრულ მარმარიღოს დაფაზე ვკითხულობთ:

«ამ უბრაღო სახღს ბედნიერება ხვდა წიღად — აქ 1782 წღის 27 ოქტომბერს[1] სამყაროს გასახარად დაიბადა გენუის სიამაყე ნიკოღო პაგანინი — ღვთიურ ჰანგთა ხეღოვნების უბადღო ოსტატი».

შავი კატის შესახვევის ახღოს მდებარე წმინდა ჯვრისა და უწმინდესი საღვატორეს ეკღესიაში შემონახულია 1766-1795 წღების ნათღობის ჩანაწერები. 213-ე გვერდზე 225 ნომრით აღნიშნული ძველი საბუთი ადასტურებს:

«1782 წელსა, დღესა ოქტომბერსა, დაიბადა და ჩემ მიერ მოინათღა ნიკოღაუს პაგანინი, ვაჟი მეუღღეებისა ანტონიოსი, ძისა იოანე ბაპტისტისა და ტერეზასი, ასულისა იოანე ბოჩარდოსი. მოწმეები — ნიკოღაო კარუტა და კოღუმბა მარია ფერამოღა».

რას იფიქრებდა მღვდელი, ბებრული ხელით ეს სტრიქონები რომ გამოჰყავდა, ესოდენ მნიშვნელოვან ისტორიულ თარიღს თუ აღნუსხავდა და პირველად წერდა იმ იშვიათ

სახელს, რომელსაც ჟამთა სიავე ვერაფერს აკლებს და რომლის დიდებაც დავიწყებას არასოდეს მიეცემა.

ნიკოლაუს პაგანინი — იგივე ნიკოლო[2] — ასე დაარქვეს ნავსადგურის ყოფილი მუშისა და უბრალო ქალაქელი ქალის მეორე ვაჟიშვილს. ნავსადგურში ანტონიოს პატარა დუქანი ჰქონდა გახსნილი, მაგრამ ამასთან ერთად ცდილობდა წინასწარმეტყველიცა და მუსიკოსიც გამხდარიყო. ეტყობა, იგი ლატარიაში მართლაც უწინასწარმეტყველებდა თავის კლიენტებს მომგებიან ნომრებს, «თუმცა მას თვითონ ბედი არასოდეს სწყალობდა», — წერს პაგანინის ბიოგრაფი ელიზა პოლკო. მოკლედ, დღენიადაგ ხელმოკლედ ცხოვრობდა. ხოლო რაც შეეხება მუსიკას, ძალიან უყვარდა და სიამოვნებით აჟღარუნებდა მანდოლინასა და ვიოლინოს. არც მსმენელი ჰყავდა მომთხოვნი და ყოველთვის მხურვალე ტაშით აჯილდოებდა საგანგებოდ მისთვის შესრულებული მსუბუქი და იოლად დასამახსოვრებელი ხალხური მელოდიებისთვის. ეს იყო უბრალო, მხიარული და უდარდელი სიმღერები, ყოველ შემთხვევაში, უფრო ხალისიანი, ვიდრე მისი შემსრულებლის ერთთავად მოღუშული პირისახე.

ანტონიო პაგანინი ეკუთვნოდა იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც თვლიან, რომ მათი კარიერა არ შედგა! ის ვაჭრობაზე კი არა, მუსიკოსობაზე, სახელის მოხვეჭასა და თავისი ხელოვნების ჯილდოდ აპლოდისმენტზე ოცნებობდა, დაუკმაყოფილებელი პატივმოყვარეობა და აუხდენელი ნატვრა ტანჯავდა. ამიტომაც უგუნებობა დასჩემდა — გულფიცხი და ჭირვეული გახდა, ძნელი იყო მასთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრება.

საბედნიეროდ, მისი მეუღლე ტერეზა ბოჩარდო ნაზი, თვინიერი და მორჩილი ქალი გახლდათ. ბედით უკმაყოფილო და ბუზღუნა ქმრის მორჯულება რომ ვეღარ შეძლო, პირში წყალი ჩაიგუბა, ნუგეშად მხოლოდ რელიგია და ბავშვები დაიგულა. ხუთი შვილი ჰყავდა — კარლო, ნიკოლო, ანჟელა, ჯულია-ნიკოლეტა და პაოლა-დომინიკა. ხუთივე ქორწინების პირველი ათი წლის განმავლობაში შეეძინათ. ტერეზა გათხოვდა 1777 წელს, როგორც კი ჩვიდმეტისა შესრულდა.

ო, რა შორეულად ეჩვენებოდა ახლა ის დღე, ფარჩის კაბაში გამოწყობილი და ბედნიერებით ფრთაშესხმული საკურთხevლისკენ რომ მიაბიჯებდა. მაშინ მისი ანტონიო 24 წლისა იყო. მას ტერეზა უყვარდა და იმედებითა თუ დაპირებებით აღსავსე მომავალსაც თითქოს ორივეს გული სიამით უნდა აევსო. მერე ამას მოჰყვა არცთუ ბედნიერი და იოლი წლები. ხუთი პატარა ბავშვის გაზრდა და დაპურება ათას საფიქრალს უჩენდათ, არც გულის ხეთქა დაჰკლებიათ მრავალგზის. ტერეზას ყველაზე გამორჩეულად ნიკოლო უყვარდა. იგი ჩვილი ბავშვის გარდაცვალებიდან ორი წლის თავზე შეეძინა და ირწმუნა, რომ ღმერთმა დაკარგული შვილი ნიკოლოს სახით ისევ მოუვლინა ამქვეყნად, როგორც იტალიელები იტყვიან, ესეც ერთი ოცნება, ერთი სიზმარი, მაგრამ ტერეზას ეჭვი წუთითაც არ შეჰპარვია ამაში...

ერთხელ უცნაური რამ ესიზმრა და მერე სიზმარში ნანახს ყოველთვის გულისფანცქალით უამბობდა მეზობლებსა და ახლობლებს. ძილში ვითომ ანგელოზი გამოეცხადა და ჰკითხა: რა წყალობას ისურვებ უზენაესისაგან, რას ინატრებო, და ტერეზამაც შესთხოვა მოციქულს, ჩემი ბიჭუნა ნიკოლო ღმერთმა სახელგანთქმული მუსიკოსი გამიხადოსო.

ტერეზასაც ძალიან უყვარდა მუსიკა და ამჩნევდა, მისი საფიცარი შვილი როგორ მოჯადოებული უსმენდა ხოლმე ზარების რეკვასა და ოჯახის უფროსის მანდოლინაზე ჟღარუნსაც კი, ქალს გულს რომ უწვრილებდა და მოთმინების ფიალას უვსებდა. ყურს

მოჰკრავდა თუ არა მუსიკის ხმას, ბავშვი მაშინვე იქით მიიწევდა. როგორც პოეკო წერს, — მზეს დანატრებული კოკორივით მიიღტვოდა პირველი სხივისკენ და დიდრონი, შავი, მომხიბლავი თვალები უცნაური შუქით აენთებოდა.

ანტონიომაც შეამჩნია, რომ მუსიკა დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მის ვაჟიშვილზე, არც მისი მახვილი სმენა გამოჰპარვია (ერთხელ ოთხი წლის ბიჭუნამ შენიშვნა მისცა — მანდოლინაზე შეცდომით უკრავო) და, როგორც მოგვიანებით ლისტის მამა, — ისიც ხელმოცარული მუსიკოსი გახლდათ, თუმცა ყოველთვის იმედოვნებდა, შვილი მაინც მოიხვეჭდა სახელს, — ანტონიომაც იმედი არ გადაიწურა: მართალია, მუსიკოსობა არ მეღირსა, მაგრამ იქნებ ჩემს ბიჭს მაინც გაუმართლოსო.

ნათქვამია, ცდა ბედის მონახევრეაო. ამიტომ ანტონიომაც ხუთი წლის ასაკში ნიკოლოს მუსიკის სწავლება დაუწყო. ჯერ მანდოლინაზე[3] ასწავლა დაკვრა, ექვსი წლის ასაკში კი, უკვე პაწაწინა ვიოლინოზე უკრავდა. ბავშვის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. თუმცა მაღე მიხვდა, რომ მუსიკის სწავლა არ იყო მარტოოდენ სიამოვნება, რადგან იმ დღიდან ვიოლინო გახდა მისი ერთადერთი სათამაშო, ერთადერთი თავშესაქცევი და გასართობი. მაგრამ ვიოლინო ხომ არც სათამაშოა, არც თავშესაქცევი და არც გასართობი, იგი მეტად სერიოზული, რთული და დამქანცველი საკრავია.

საათობით მეცადინეობდა, რომ ერთი ციცქნა საკრავი მოხერხებულად მოერგო მარცხენა მხარზე ნიკაპქვეშ. შეუძლებელია იმის გადმოცემა, თუ რაოდენ ძნელი იყო ეს! ამასთან ტექნიკის დასახვეწად ერთსა და იმავე სავარჯიშოებს გაუთავებლად, ათასჯერ იმეორებდა. ბიჭი იღლებოდა, მაგრამ მამას არ ებრაღებოდა. ერთთავად სწავლას ჩასჩიჩინებდა, დილიდან საღამომდე ოთახში გამოკეტავდა და ტოლ-ამხანაგებთან სათამაშოდ აღარ უშვებდა. მაგრამ ბავშვი თუ იზარმაცებდა, ანდა სათამაშოდ ზღვის სანაპიროზე გაიპარებოდა, მაშინ მამა უმოწყალოდ სცემდა. შემდგომში შოტკისთან[4] საუბრისას ნიკოლო ყოველთვის სევდიანად იგონებდა ამ ტანჯვა-წამებას:

«მამაჩემზე მკაცრი ადამიანი, აღბათ, მეორე არ დადიოდა დედამიწის ზურგზე. როცა მოეჩვენებოდა, რომ ბეჯითად არ ვმეცადინეობდი, იმ დღეს უსადილოდ მტოვებდა და მშიერ-მწყურვალს ჩამჩიჩინებდა სწავლას. ასე რომ, ფიზიკურად ბევრი ვიტანჯე, ამან კი დაღი დაასვა ჩემს ჯანმრთელობას».

დედაც იტანჯებოდა, ბოლმა ყელში ებჯინებოდა, საყვარელ ბიჭუნას ფერმკრთალ სახეს, ჩაცვენილ ლოყებსა და შავ, აელვარებულ, ღრმად ჩაცვივნულ თვალებს რომ უყურებდა. ქალს ლამის გული გადაელია, ოთხი წლისას წითურა რომ შეეყარა. ბავშვს ავადმყოფობამ ისე დარია ხელი, რომ კატალეფსიის შეტევა დაეწყო. მთელი დღე ლოდივით ცივი იყო და მკვდარივით იწვა. ბოლოს იმედი გადაეწურათ, იფიქრეს მოკვდაო, ზეწარში გამოახვიეს და ის-ის იყო კუბოში უპირებდნენ ჩასვენებას, რომ იგი შეირხა. საცოდავს ისევ შერჩენოდა სიცოცხლის ნიშანწყალი. წითურა ჩვეულებრივი საყმაწვილო სენია და ამასთან არც ისე საშიში, მაგრამ რაკი ნიკოლომ ასე მძიმედ გადაიტანა, დედა აღლოთი გრძნობდა, რომ ბიჭუნა ყოველგვარი ავადმყოფობის მიმართ საოცრად მგრძნობიარე იქნებოდა. საშინელი გართულებით მოიხადა სხვა დაავადებანიც. მისი ჯანმრთელობა შეარყია ქუნთრუშამაც, რომელიც შვიდი წლისამ მძიმე ფორმით — კრუნჩხვებით, სპაზმებითა და კონვულსიებით გადაიტანა.